



**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №56
2017 წლის 25 აგვისტო
ქ. მარტვილი**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 22 აგვისტოს №22/08/01 განკარგულების შესაბამისად და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით (17/07/2017), 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

4. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე:

- ა) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და გამოსცეს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები;
- ბ) მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (№65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიას;
- გ) მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოდრავი ქონება) (№65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიას.

5. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის მე-პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

6. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიას.

7. დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

8. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მარტვილის რაიონულ სამმართველოს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

9. ეს განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;

ბ) გამოიკრას მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს ვებგვერდზე: www.martvili-sakrebulo.ge და www.martvili.ge

10. ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე.

11. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

12. ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობა ნაგებობების გამოყოფის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 14 ივლისის N60 და „მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N32 განკარგულებები.

13. განკარგულებაში იძლევა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. სენაკი, რუსთაველის ქ №247).

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ალექსი გაბისონია

დანართი N 1

საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის)) დაკავშირებით განისაზღვრული შენობა-ნაგებობების ნუსხა:

1. ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. N7-ში მდებარე ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლის დარბაზი;
2. ქ. მარტვილი, მშვიდობის ქ. N20-ში მდებარე ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზი;
3. სოფ. დიდი ჭყონის კულტურის სახლის დარბაზი;
4. სოფ. კიწიას კულტურის სახლის დარბაზი;
5. სოფ. სალხინოს კულტურის სახლის დარბაზი;
6. სოფ. ხუნწის კულტურის სახლის დარბაზი;
7. სოფ. ნაგვაზაოს კულტურის სახლის დარბაზი.